



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მებონია ჯემალ ვლადიმერის ძე

მებონია ჯემალ ვლადიმერის ძე (დ. 29. VI. 1939, სოფ. ობუჯი, ახლანდ. წალენჯიხის მუნიციპალიტეტი), ფიზიკოსი. ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1985), პროფესორი (1989). დაამთავრა თსუ-ის ფიზ. ფაკ-ტი (1961). მუშაობდა მოსკოვის სახელმწ. უნ-ტში თეორ. ფიზიკის კათედრაზე (1961–66); თსუ-ის ბირთვული ფიზიკის სამეცნ.-კვლ. ლაბორატორიაში. მაღალი ენერგიების ფიზიკის ინ-ტად გარდაქმნის შემდეგ – ბირთვული რეაქციების ლაბორ. გამგედ (1966–86). იყო თსუ-ის ფიზ. ფაკ-ტის ზოგადი ფიზიკის კათედრის პროფესორი (1986–95), კათედრის გამგე (1995-იდან), დეკანი, თსუ-ის დიდი საბჭოს, პროფესორთა და სამეცნ. ხარისხების მიმნიჭებელი სპეციალიზებული საბჭოს წევრი (1989–2005).

მ-ს სამეცნ. ინტერესები ეხება მრავალნაწილაკოვანი კვანტური სისტემების თეორიას. შემუშავებული აქვს N-ნაწილაკოვანი სისტემების მიახლოებითი ამოხსნის ორიგინალური მეთოდი, კონკრეტული შედეგები მიიღო 3-ნაწილაკოვანი ატომური და ბირთვული სისტემების ამოცანებისთვის. არის სამეცნიერო ნაშრომების ავტორი.

პ. მამრაძე.
